



საქართველოს ფოსტა

მ ო წ ვ ე ვ ა

ინტერესთა გამოხატვაზე

შპს „საქართველოს ფოსტა“-სა და ფინანსურ ინსტიტუტს შორის
სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ

შეკითხვების დასმისა და
დაზუსტების მოთხოვნის ბოლო ვადაა
2019 წლის 9 ივლისი

ყველა შეკითხვა და მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე sp_eoi@gpost.ge
ან ტელეფონზე: +995 599 400 448

შემოთავაზების ბოლო ვადაა
2019 წლის 11 ივლისი, არაუგვიანეს 12:00 საათისა

შპს „საქართველოს ფოსტა“
მისამართი : სადგურის მოედანი #2, თბილისი, საქართველო

წინამდებარე დოკუმენტი არის მხოლოდ მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე. საქართველოს ფოსტა არ არის ვალდებული მიიღოს რომელიმე შემოთავაზება ან გამართოს მოლაპარაკება რომელიმე კომპანიასთან, რომელიც შემოიტანს შემოთავაზებას. საქართველოს ფოსტას უფლება აქვს უარი თქვას ნებისმიერ ან ყველა შემოთავაზებაზე და ეს არ გამოიწვევს რაიმე პასუხისმგებლობას, მათ შორის არც გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას.

მოწვევა შპს „საქართველოს ფოსტა“-ს და ფინანსურ ინსტიტუტს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ

ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

შპს „საქართველოს ფოსტა“ ს/კ 203836233 (შემდგომში „საქართველოს ფოსტა“ ან „კომპანია“) წარმოადგენს ლიდერ საფოსტო კომპანიას, რომელიც 2019 წლის მდგომარეობით ქვეყნის ტერიტორიის მასშტაბით წარმოდგენილია 82 საფოსტო სერვისცენტრით, რომელთა საშუალებითაც საქართველოს მოსახლეობას უწყვეტად და ხელმისაწვდომად მიეწოდება უნივერსალური და არაუნივერსალური საფოსტო მომსახურება.

კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება:

- საქართველოს მოსახლეობისათვის უნივერსალური საფოსტო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მსოფლიოს 190-ზე მეტ ქვეყანაში;
- საფოსტო ფულადი გზავნილების მიღება და გაგზავნა;
- საცალო ვაჭრობა, პრესის გავრცელება და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სადისტრიბუციო მომსახურება;
- სატვირთო გადაზიდვები და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სატერმინალო მომსახურება.

ევროპის ქვეყნების უნივერსალური საფოსტო მომსახურების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მომხმარებელთათვის სწრაფი ფინანსური მომსახურებებისა და საფოსტო პროდუქტების ერთ სივრცეში შეთავაზება ზრდის კომპანიის მიმზიდველობას და ამავე დროს უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებას.

სწორედ ამ პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შპს „საქართველოს ფოსტა“ აცხადებს ინტერესთა გამოხატვას ფინანსურ ინსტიტუტთან (ბანკთან) სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ.

სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს ფოსტა შერჩეულ პრეტენდენტს საბანკო სივრცის მოსაწყობად კომპანიის სერვისცენტრებში გადასცემს ინდივიდუალურად განსაზღვრულ ფართებს გრძელვადიანი იჯარით, სადაც შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მომხმარებელს მიეცემა საშუალება ისარგებლოს სწრაფი ფინანსური მომსახურებებით.

საქართველოს ფოსტა ასევე დაინტერესებულია შერჩეულ პარტნიორ ბანკთან აქტიური თანამშრომლობით შეიმუშავოს საფოსტო მომსახურებისა და ელექტრონული კომერციის მასტიმულირებელი ახალი პროდუქტები.

1. პარტნიორ ფინანსური ინსტიტუტთან სტრატეგიული თანამშრომლობის ჩარჩო

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მომავალი პარტნიორი ბანკისათვის შეთავაზებული სტრატეგიული თანამშრომლობა მოიცავს:

- 1.1 კომპანია იღებს ვალდებულებას ბანკს ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ფოსტის თითოეულ სერვისცენტრში იჯარით, დროებით სარგებლობაში, გადასცეს არაუმეტეს 3.5 კვ.მ. ფართი საბანკო სივრცის მოსაწყობად.

- 1.2 ბანკი უფლებამოსილია იჯარით მიღებულ ფართში საბანკო სივრცე / სამუშაო გარემო მოაწყოს საკუთარი შეხედულებისამებრ, მათ შორის ბანკი უფლებამოსილია, საბანკო სივრცეში განათავსოს სარეკლამო-მარკეტინგული მასალა და სხვა საბანკო ატრიბუტიკა.
- 1.3 კომპანია ვალდებულია ბანკს იჯარით, ხელშეკრულების მოქმედების ვადით, დროებით სარგებლობაში, გადასცეს ფოსტის თითოეულ სერვისცენტრში არაუმეტეს 1 კვ.მ ფართი ბანკომატ(ებ)ის განსათავსებლად, ხოლო არაუმეტეს 0.5 კვ.მ ფართი ბანკის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის სწრაფი გადახდის აპარატის/ტერმინალის განთავსების მიზნით.
- 1.4 კომპანია ვალდებულია კომპანიის სერვისცენტრების გარე ფასადზე, ბანკის ბრენდის მანიშნებლის განთავსების მიზნით, ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ბანკს გადასცეს იჯარით, დროებით სარგებლობაში არაუმეტეს 0.5 კვ.მ ფართი.
- 1.5 ბანკი იჯარით მიღებულ ფართში განახორციელებს საბანკო საქმიანობას (პროდუქტების შეთავაზება/გაყიდვას, გარდა პენსიის გაცემისა).
- 1.6 ბანკი უფლებამოსილია იჯარით მიღებულ ფართში საბანკო სივრცე / სამუშაო გარემო მოაწყოს საკუთარი შეხედულებისამებრ, მათ შორის ბანკი უფლებამოსილია, საბანკო სივრცეში განათავსოს სარეკლამო-მარკეტინგული მასალა და სხვა საბანკო ატრიბუტიკა.
- 1.7 კომპანია ვალდებულია სწრაფი გადახდის აპარატი/ტერმინალი და ბანკომატი უზრუნველყოს ელექტროენერგიით და აუცილებელი ტექნიკური გარემოთი.
- 1.8 მხარეები შესაძლოა დამატებით შეთანხმდნენ კომპანიის სერვისცენტრებში ბანკის სარეკლამო-მარკეტინგული მასალის/საინფორმაციო დაფის („სტენდის“) განთავსების მიზნით ბანკისთვის შესაბამისი ფართის იჯარით, დროებით სარგებლობაში გადაცემაზე. სარეკლამო-მარკეტინგული მასალების/საინფორმაციო დაფის („სტენდის“) განთავსების მიზნით იჯარით გადასაცემი ფართის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები და სხვა დეტალები (მათ შორის „სტენდის“ იერსახე და ზომა) მხარეების მიერ განისაზღვრება გასაფორმებელი ხელშეკრულების შესაბამისად.
- 1.9 მხარეთა შეთანხმებით ფოსტის სერვისცენტრებში (საბანკო სივრცის ფარგლებს, იჯარით აღებული ფართის გარეთ) შესაძლოა განთავსდეს ბანკის სარეკლამო/მარკეტინგული მასალა/ატრიბუტიკა (ბროშურები და სხვა სახის მატარებელზე წარმოდგენილი სარეკლამო/მარკეტინგული ინფორმაცია).
- 1.10 კომპანია ვალდებულია ბანკს მისცეს შესაძლებლობა/უფლება სერვისცენტრების რემონტი დაგეგმოს, მათ შორის გასარემონტებელი სერვისცენტრების (ეტაპობრივი) შერჩევა განახორციელოს საკუთარი შეხედულებისამებრ (ბანკმა).
- 1.11 ბანკი უფლებამოსილია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს სერვისცენტრების შერჩევა იჯარით მიღებულ ფართში საბანკო საქმიანობის განსახორციელებლად.
- 1.12 კომპანია არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს ბანკის მიერ ფოსტის სერვისცენტრებში განსახორციელებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარების პროცედურაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სარემონტო სამუშაოები აზიანებს ფოსტის ინტერესს, რაც დასაბუთებული უნდა იყოს. სერვისცენტრების რემონტის განხორციელების პერიოდში ფოსტა საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს მოახდინოს თუ არა საფოსტო მომსახურების მიწოდება, იმ შემთხვევაში თუ არ განხორციელდება ან ნაწილობრივ განხორციელდება საფოსტო მომსახურება, აღნიშნული არ ჩაითვლება კომპანიის ინტერესებისთვის ზიანის მიყენებად), ამასთან კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს საინვესტიციო თანხის ბანკის მიერ გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების კომპანიისათვის წარდგენა. ბანკის ვალდებულებას წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეთანხმებული საინვესტიციო თანხის

სრულად გახარჯვა. კომპანია ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება ან უმოქმედობა, რითაც ბანკს შეეზღუდება ან/და ხელი შეეშლება სარემონტო სამუშაოების სრულფასოვნად და დროულად განხორციელებაში.

- 1.13 ბანკმატების განთავსება კომპანიის სერვისცენტრებში წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.
- 1.14 ბანკი ფოსტის სერვისცენტრებში პროდუქტების შეთავაზება/გაყიდვის მიზნებისთვის ფოსტასთან წინასწარი შეთანხმებით განახორციელებს მარკეტინგულ და PR კამპანიას ბანკისა და კომპანიის სასარგებლოდ.
- 1.15 ბანკი კომპანიის სასარგებლოდ განახორციელებს (მხარეთა შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად):
 - 1.15.1 მხარდაჭერას ელექტრონული კომერციის პროგრამულ უზრუნველყოფაში;
 - 1.15.2 ფოსტის თანამშრომლების ტრენინგს და მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში;
 - 1.15.3 ერთობლივი პროდუქტების შემუშავებას.
- 1.16 კომპანიის გასხვისების, კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორის მიერ წილის სრულად ან ნაწილობრივ გასხვისების ან/და რეორგანიზაციის შემთხვევაში, აგრეთვე ნებისმიერი სხვა საშუალებით უფლებამონაცვლობისას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები სრულად გადავა კომპანიის სამართალმემკვიდრეზე/უფლებამონაცვლეზე.

შეთავაზებული საიჯარო ქონებ(ებ)ის სია, მათი მისამართებისა და სრული საკადასტრო კოდების მითითებით, განისაზღვრება წინამდებარე დოკუმენტის დანართი N1-ის შესაბამისად.

2. პარტნიორ ფინანსური ინსტიტუტთან სტრატეგიული თანამშრომლობის განსაკუთრებული პირობები

- 2.1 კომპანია იღებს ვალდებულებას სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გააფორმოს სხვა პირებთან, მათ შორის სხვა საბანკო დაწესებულებასთან და ფინანსურ ორგანიზაციასთან/ინსტიტუტთან (მათ შორის მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან) ასეთი ხელშეკრულების ანალოგიური ან მსგავსი ხელშეკრულება/გარიგება/მემორანდუმი, მათ შორის ისეთი გარიგება, რომლითაც სხვა საბანკო დაწესებულებას/ებს ან/და ფინანსურ ორგანიზაციებს/ინსტიტუტებს მიანიჭებს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის საშუალებით შერჩეული პარტნიორი ბანკისათვის მინიჭებული უფლებების ანალოგიურ ან/და მსგავს უფლებებს. ამასთან წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება არ ზღუდავს კომპანიის უფლებას საკუთარი ან/და მესამე პირთა საგადახდო სისტემ(ებ)ის საშუალებით განახორციელოს იმ ფულადი გზავნილების მომსახურება, რომელთა მომსახურე საგადახდო სიტემ(ებ)თან არ თანამშრომლობს შერჩეული ბანკი ან შესთავაზოს მომხმარებლებს ისეთი სერვისები და პროდუქტები, რომელთაც არ სთავაზობს ბანკი.
- 2.2 კომპანია იღებს ვალდებულებას უპირატესად შესთავაზოს ბანკს ფოსტის ყოველ ახალ საფოსტო ან/და საფოსტო-საკურიერო და მასთან დაკავშირებულ ბიზნეს პროდუქტთან/მომსახურებასთან/პროექტთან დაკავშირებით საბანკო მომსახურების განხორციელება და მხოლოდ ბანკის უარის შემთხვევაში შესთავაზოს ასეთ პროდუქტთან/მომსახურებასთან/პროექტთან დაკავშირებით საბანკო მომსახურების განხორციელება სხვა პირებს. კომპანიას არ ეკისრება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, იმ შემთხვევაში თუ ფოსტის ყოველი ახალი საფოსტო ან/და საფოსტო-საკურიერო და მასთან დაკავშირებული ბიზნეს პროდუქტის/მომსახურების/პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით

ობიექტურად აუცილებელია რამდენიმე ბანკის მომსახურებით სარგებლობა, რაც დასაბუთებული უნდა იყოს კომპანიის მიერ ან იმ შემთხვევაში თუ სხვა პარტნიორი სთავაზობს კომპანიას უკეთეს პირობებს.

- 2.3 ბანკი იღებს ვალდებულებას უპირატესად ისარგებლოს კომპანიის საფოსტო მომსახურებით და მხოლოდ კომპანიის უარის შემთხვევაში ისარგებლოს სხვა პირების საფოსტო მომსახურებით. ბანკი ამ ვალდებულებას შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ შეთავაზებული საფოსტო მომსახურების პირობები არ გააუარესებს ბანკსა და სხვა კომპანიებს შორის არსებულ საფოსტო მომსახურების პირობებს ან/და სხვა პირების მიერ შემოთავაზებულ საფოსტო მომსახურების პირობებს. ამასთან, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ფოსტის უფლებამოსილება ბანკს არ უზღუდავს უფლებას ისარგებლოს სხვა კომპანიის საფოსტო მომსახურებით, თუ კონკრეტული სპეციფიკის მომსახურებას არ ახორცილებს კომპანია. საფოსტო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მხარეები ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ ხელშეკრულების პირობებს (მათ შორის ხელშეკრულების მოქმედების ვადას და მისი შეწყვეტის პირობებს).
- 2.4 კომპანია იღებს ვალდებულებას ჩაერთოს ბანკის სახელფასო პროექტში არაუგვიანეს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვისა. ამასთან ბანკის მიერ კომპანიისათვის შეთავაზებული წინადადება, არ უნდა აუარესებდეს ბანკის სახელფასო პროექტში ჩართვის მომენტამდე კომპანიაში არსებულ სხვა ბანკის სახელფასო პროექტის ან/და სხვა საბანკო საოპერაციო მომსახურების (მათ შორის საინვასციო მომსახურების) პირობებს. კომპანია ვალდებულია სახელფასო პროექტში ჩართული იყოს არანაკლებ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით და ისარგებლოს მხოლოდ პარტნიორი ბანკის სახელფასო პროექტით. საფინანსო/საბანკო ბაზარზე არსებული გარემოებების ცვლილების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ სახელფასო პროექტის და სხვა საბანკო საოპერაციო მომსახურების პირობების გადახედვა, რაზედაც გაფორმდება დამატებითი შეთანხმება წერილობითი სახით.
- 2.5 იმ შემთხვევაში თუ კომპანია სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სხვა პირებთან, მათ შორის, სხვა საბანკო დაწესებულებასთან და ფინანსურ ორგანიზაციასთან/ინსტიტუტთან გააფორმებს ამ ხელშეკრულების ანალოგიურ ან მსგავს ხელშეკრულებას/გარიგებას, მათ შორის ისეთი გარიგებას, რომლითაც სხვა პირებს, საბანკო დაწესებულებას/ებს ან/და ფინანსურ ორგანიზაციებს/ინსტიტუტებს მიანიჭებს ასეთი ხელშეკრულებით პარტნიორი ბანკისათვის მინიჭებული უფლებების ანალოგიურ ან/და მსგავს უფლებებს (რაც არ ზღუდავს კომპანიის უფლებას საკუთარი ან/და მესამე პირთა საგადახდო სისტემ(ებ)ის საშუალებით განახორციელოს იმ ფულადი გზავნილების მომსახურება, რომელთა მომსახურე საგადახდო სისტემ(ებ)თან არ თანამშრომლობს ბანკი ან შესთავაზოს მომხმარებლებს ისეთი სერვისები და პროდუქტები, რომელთაც არ სთავაზობს ბანკი) ბანკი უფლებამოსილია:
 - 2.5.1 ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება;
 - 2.5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადით გააგრძელოს სახელშეკრულებო ურთიერთობა და მოსთხოვოს კომპანიას და კომპანია ვალდებულია გადაიხადოს კომპენსაცია შემდეგი პირობებით:
 - 2.5.2.1 თანხა, რომელიც ტოლი იქნება ბანკის მიერ კომპანიის სასარგებლოდ წინამდებარე დოკუმენტის 3.1 და 3.3 პუნქტებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების ფაქტობრივად შესრულებული ნაწილის (გადახდილი თანხის / გახარჯული საინვესტიციო თანხის) 72 (სამოცდათორმეტი) თვეზე გაყოფით

მიღებული შედეგის 50%-სა (ბანკის მიერ წინამდებარე დოკუმენტის 3.1 და 3.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებული ნაწილი გაყოფილი 72 (სამოცდატორმეტი) თვეზე და მიღებული შედეგის 50%). წინამდებარე ქვეპუნქტის შესაბამისად გამოანგარიშებული კომპენსაცია წარმოადგენს თითოეულ კალენდარულ თვეზე განსაზღვრულ/დასაკისრებელ/გადასახდელ კომპენსაციას, რომლის დროსაც არსებობს წინამდებარე დოკუმენტის 2.5 პუნქტში მითითებული გარემოებები.

წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაცია ბანკს შეუძლია მოითხოვოს იმ შემთხვევაში, თუ ბანკი არ წყვიტავს ხელშეკრულებას წინამდებარე დოკუმენტის 2.5.1 პუნქტის შესაბამისად.

2.6 კომპანიის მიერ წინამდებარე დოკუმენტის 1 თავით განსაზღვრული ვალდებულებების/პირობების არსებითი დარღვევის შემთხვევაში ბანკი ულებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო წინამდებარე დოკუმენტის 3.1 და 3.3 პუნქტებში მითითებული თანხების (არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) + ბანკის მიერ ფოსტის სერვისცენტრების შეკეთების/რემონტისთვის ფაქტობრივად გაღებულ ხარჯების) 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. ვადაგადაცილების დღეების ათვლა დაიწყება ვალდებულების კომპანიის მიერ შესრულებასთან დაკავშირებით ბანკის წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 2 (ორი) კალენდარული დღის უშუალოდ გასვლის მომდევნო დღიდან. ამასთან, წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, 1 თავით განსაზღვრული ვალდებულებების არსებით დარღვევად ჩაითვლება კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა/შეუსრულებლობა ბანკის მიერ იჯარით აღებული/ასაღები სერვისცენტრების 10%-ზე მეტში ან/და კომპანიის მიერ იმგვარი ქმედების განხორციელება ან უმოქმედობა, რომელიც ბანკს შეუზღუდავს/აუკრძალავს, მის მიერ შერჩეულ, იჯარით აღებული/ასაღები სერვისცენტრების 10%-ზე მეტში საბანკო საქმიანობის განხორციელებას ან/და ბანკს შეუზღუდავს/აუკრძალავს ფოსტის სერვისცენტრების გარე ფასადზე ბანკის ბრენდის მანიშნებლის განთავსებას. ამ პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლო მოქმედებს თითოეულ სერვისცენტრზე, რომლის მიმართაც არსებითად დაირღვა ვალდებულება. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო არ გავრცელდება შემთხვევაზე, როდესაც ბანკი, საკუთარი ნებით არ შევა იჯარით ფოსტის რომელიმე სერვისცენტრში.

2.7 კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 0,1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, ბანკის ვადამოსულ ფინანსურ გადასახდელებზე.

3. პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტის ვალდებულებები

სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრებში საიჯარო ფართის გამოყოფისა და საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების სანაცვლოდ გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა აიღოს შემდეგი ვალდებულებები:

3.1 პარტნიორმა კომპანიას უნდა გადაუხადოს (უნაღდო ანგარიშსწორების გზით) არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარი, სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2 პარტნიორმა კომპანიას უნდა გადაუხადოს საკომისიო მის მიერ კომპანიის სერვისცენტრიდან გაყიდული/რეალიზებული ფინანსური პროდუქტებისთვის, ამასთან საკომისიოს ოდენობა არ უნდა იყოს წლიურად 100 000 (ასი ათასი) ლარზე ნაკლები. იმ შემთხვევაში თუ საკომისიოს ოდენობა იქნება 100 000 (ასი ათასი) ლარზე ნაკლები, ბანკი კომპანიას გადაუხადის 100 000 (ასი ათასი) ლარს. ამასთანავე ბანკმა კომპანიას უნდა გადაუხადოს საკომისიო სულ მცირე შემდეგი ოდენობით, თითოეული პროდუქტისათვის.

პროდუქტი	მინიმალური საკომისიო (ლარი)
საკრედიტო ბარათი	5.00
სწრაფი სესხი	5.00
სამომხმარებლო სესხი	10.00
მიკრო სესხი	20.00
სადეპოზიტო ბარათი	5.00
უსაფრთხოების სერვისი	2.00
სწრაფი განვადება	3.00
ფულადი გზავნილი	1.40

3.3 პარტნიორმა უნდა განახორციელოს არანაკლებ 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ინვესტიცია კომპანიის სერვისცენტრ(ებ)ის მომსახურე არეალის სარემონტო სამუშაოებში (იმ ფართის სადაც ხორციელდება ბანკისა და კომპანიის მომხმარებლების მომსახურება), კერძოდ, იატაკების შეცვლა საჭიროებისამებრ, ჭერების შეცვლა საჭიროებისამებრ, კედლების დამუშავება - ლებვა საჭიროებისამებრ, ჭერის სანათების შეცვლა საჭიროებისამებრ, ელექტრო გაყვანილობის შეცვლა საჭიროებისამებრ, სუსტი დენების შეცვლა საჭიროებისამებრ, გათბობის მილების მონტაჟი საჭიროებისამებრ, შესასვლელი ფასადის (მოპირკეთება, ვიტრაჟები, აბრები, მანიშნებლები) მოწყობა, სამუშაო ადგილის მოწყობა (დენის და ქსელის წერტილი), ასევე საჭიროებისამებრ შეიძენს და განათავსებს ფოსტის სამუშაო მაგიდებს/სკამებს სერვისცენტრის მომსახურების არეალში. ამასთან, ბანკის მიერ საინვესტიციო თანხის გახარჯვა უნდა განხორციელდეს შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

- არანაკლებ 300.000 (სამასი ათასი) ლარი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში;
- არანაკლებ 500.000 (ხუთასი ათასი) ლარი, ხელშეკრულების დარჩენილი მოქმედების ვადის განმავლობაში, ბანკის მიერ შერჩეული გრაფიკის შესაბამისად.

3.4 პარტნიორმა უნდა უზრუნველყოს არანაკლებ 500.000 ლარის ღირებულების მარკეტინგული და პიარ აქტივობის ორგანიზება, სადაც ძირითადად წარმოდგენილი იქნება საქართველოს ფოსტა. წინამდებარე აქტივობა უნდა შემუშავდეს და შეთანხმდეს საქართველოს ფოსტასთან.

3.5 პარტნიორმა კომპანიას საკუთრებაში უნდა გადასცეს არანაკლებ 23 ერთეული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელთა საერთო საბაზრო ღირებულება არ უნდა იყოს 100 000 (ასიათასი) ლარზე ნაკლები.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები:

4.1 სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება გაფორმდება 6 (ექვსი) კალენდარული წლის ვადით.

4.2 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

- 4.2.1 მხარეთა შეთანხმებით;
- 4.2.2 ცალმხრივად ერთერთი მხარის ინიციატივით, წინამდებარე დოკუმენტის 4.3; 4.4 და 4.8 პუნქტების შესაბამისად;

მოწვევა

სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

- 4.2.3 ცალმხრივად მხარეების მიერ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, თუ მხარის მიერ დამრღვევი მხარისთვის ვალდებულების შესრულებისთვის დამატებით მიცემული 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღიანი ვადა უშედეგოდ გავა.
- 4.2.4 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 4.3 კომპანიის მიერ, საკუთარი ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვეტისას, მათ შორის ხელშეკრულების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 1 თებრევის N1-1/50 ბრძანების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე, ბანკის მიერ, ამ დოკუმენტის 4.5 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვეტისას, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ბანკს კომპენსაცია შემდეგი ოდენობით:
- 4.3.1 თანხა, რომელიც ტოლი იქნება ბანკის მიერ კომპანიის სასარგებლოდ წინამდებარე დოკუმენტის 3.1 და 3.3 პუნქტებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების ფაქტობრივად შესრულებული ნაწილის (გადახდილი თანხის / გახარჯული საინვესტიციო თანხის) 72 (სამოცდათორმეტი) თვეზე გაყოფით მიღებული შედეგის (ბანკის მიერ წინამდებარე დოკუმენტის 3.1 და 3.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებული ნაწილი გაყოფილი 72 (სამოცდათორმეტი) თვეზე და მიღებული შედეგი). წინამდებარე ქვეპუნქტის შესაბამისად გამოანგარიშებული კომპენსაცია წარმოადგენს თითოეულ კალენდარულ თვეზე განსაზღვრულ/დასაკისრებელ/გადასახდელ კომპენსაციას, რომელიც დაანგარიშდება კომპანიის/ბანკის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის დღიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღამდე არსებული/დარჩენილი თვეების რაოდენობის შესაბამისად.
- 4.4 ბანკი უფლებამოსილია, არაუადრეს 2019 წლის 31 დეკემბრისა, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად ვადაზე ადრე შეწყვეტოს ხელშეკრულება, კომპანიისთვის 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით ადრე განხორციელებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან ბანკის მიერ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, ბანკი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს მის მიერ კომპანიისათვის გადახდილი თანხების უკან დაბრუნება.
- 4.5 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვეტოს ხელშეკრულება, იმ შემთხვევაში თუ კომპანია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სხვა პირებთან, მათ შორის, სხვა საბანკო დაწესებულებასთან და ფინანსურ ორგანიზაციასთან/ინსტიტუტთან გააფორმებს ასეთი ხელშეკრულების ანალოგიურ ან მსგავს ხელშეკრულებას/გარიგებას, მათ შორის ისეთი გარიგებას, რომლითაც სხვა პირებს, საბანკო დაწესებულებას/ებს ან/და ფინანსურ ორგანიზაციებს/ინსტიტუტებს მიანიჭებს ამ დოკუმენტით განსაზღვრული უფლებების ანალოგიურ ან/და მსგავს უფლებებს. ბანკის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია გადაუხადოს ბანკს კომპენსაცია წინამდებარე დოკუმენტის 4.3.1 პუნქტის ამასთანავე ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვეტოს ხელშეკრულება ამ დოკუმენტის 4.4 პუნქტის საფუძველზე, მიუხედავად იმისა დადგება თუ არა წინამდებარე პუნქტის (4.5) პირველი წინადადებით გათვალისწინებული გარემოებები. ამასთან, წინამდებარე პუნქტი ბანკს არ უზღუდავს უფლებას,

ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება აგრეთვე, წინამდებარე ხელშეკრულების 4.2.3 პუნქტის შესაბამისად.

- 4.6 კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არსებითად შეუსრულებლობის/დარღვევის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის მიერ ვალდებულებების არსებითი შეუსრულებლობა განპირობებულია ბანკის საპასუხო ვალდებულებების შეუსრულებლობით), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია დაუბრუნოს/გადაუხადოს ბანკს, ბანკის მიერ გადახდილი თანხა 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე ბანკის მიერ ფოსტის სერვისცენტრების შეკეთების/რემონტისთვის ფაქტობრივად გაღებულ ხარჯ(ებ)ს გამოკლებული ფაქტობრივად გაღებული ხარჯ(ებ)ის 5% ყოველ განვლილ კალენდარულ წელზე.
- 4.7 ბანკის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების არსებითად შეუსრულებლობისას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბანკის მიერ ვალდებულებების არსებითი შეუსრულებლობა განპირობებულია კომპანიის საპასუხო ვალდებულებების შეუსრულებლობით), კომპანიის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს მის მიერ კომპანიისათვის გადახდილი თანხების უკან დაბრუნება.
- 4.8 კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში ბანკს ხელშეკრულების შეწყვეტამდე 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ.

4. პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

წინამდებარე დოკუმენტით წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად პრეტენდენტი ერთობლივად (კუმულატიურად) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. პრეტენდენტი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკი.
2. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს საბანკო საქმიანობის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.
3. პრეტენდენტი უნდა ფლობდეს კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების მიერ განთავსებული დეპოზიტების ბაზრის წილის სულ მცირე 2 %-ს.

5. განაცხადის წარდგენის წესი და წარმოსადგენი ინფორმაცია

დაინტერესებულმა პირ(ებ)მა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოსადგინოს შემდეგი ინფორმაცია და სათანადო დოკუმენტაცია, როგორც ინტერესის გამოხატვის შემადგენელი ნაწილი:

1. საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საფოსტო მისამართი, საკონტაქტო პირები და საკონტაქტო მონაცემები.
2. ინფორმაცია ბანკის შესახებ.
3. შევსებული და ხელმოწერილი წინამდებარე დოკუმენტის დანართი #2 (ფინანსური ვალდებულების შემოთავაზებული ოდენობა, წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის მე-3 თავში მოცემული მინიმალური ოდენობების გათვალისწინებით).
4. ინტერესის გამოხატვა უნდა იყოს მომზადებული ქართულ ენაზე. სხვა ენაზე მომზადებულ ინტერესის გამოხატვას უნდა დაერთოს სანოტარო წესით დამოწმებული ქართული თარგმანი. ასეთ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.
5. პრეტენდენტები შესაძლებელია „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ მოწვეული იქნენ პრეზენტაციის წარმოსადგენად.

მოწვევა

სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

6. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადების წარდგენა

ინტერესთა გამოხატვის შესახებ განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს 1 ნაბეჭდი, ხელმოწერილი ორიგინალის და ერთი ელექტრონული ასლის (PDF) სახით, რომლებიც უნდა იყოს მოთავსებული დალუქულ კონვერტში და უნდა ჩაბარდეს „საქართველოს ფოსტა“-ს არაუგვიანეს 2019 წლის 11 ივლისის 12:00 საათზე თბილისის დროით, შემდეგ მისამართზე: შპს „საქართველოს ფოსტა“, ვაგზლის მოედანი #2, თბილისი, საქართველო, ნაბეჭდ ორიგინალსა და ელექტრონულ ასლს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაბეჭდ ორიგინალს.

7. ვალდებულების არარსებობა

წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევით, „საქართველოს ფოსტა“ არ იღებს ვალდებულებას შეარჩიოს რომელიმე პრეტენდენტი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი აკმაყოფილებს ამ მოწვევაში მოცემულ კრიტერიუმებს, ან აუნაზღაუროს ნებისმიერი ხარჯი ან/და რაიმე სახის ზიანი ნებისმიერ პრეტენდენტს. დოკუმენტების წარდგენა პრეტენდენტს არ ანიჭებს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მიმართ რაიმე მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილებას იმის გამო, რომ ასეთი კომპანია ან კონსორციუმი გამოეხმაურა მოთხოვნას წინადადებების წარდგენის თაობაზე. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის საპასუხოდ გაწეული ყველა ხარჯი და ნებისმიერი შემდგომი ინფორმაციის მოთხოვნა იქნება პრეტენდენტის ხარჯების ნაწილი.

8. განცხადების განხილვის პროცედურა და ვადები

პოტენციური პარტნიორების მიერ შემოთავაზებული წინადადებ(ებ)ის განხილვა მოხდება წინადადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 24 სამუშაო დღისა. თითოეულ პრეტენდენტის, შესახებ ინფორმაცია, რომელმაც გამოხატა დაინტერესება წინამდებარე მოწვევაზე, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წინადადებების მიღების პროცედურის დასრულების შემდეგ, განთავსდება „საქართველოს ფოსტა“-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.gpost.ge თითოეული პრეტენდენტი, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე მოწვევის პირობებს, მოწვეულ იქნება დამატებით კონსულტაციაზე „საქართველოს ფოსტა“-ს მიერ. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნება კონსულტაციების დასრულების შემდგომ, მაგრამ წინადადებების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 24 სამუშაო დღის ვადაში.

წინადადებების შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება, წინამდებარე დოკუმენტის მე-3 თავის 3.1 და 3.2 პუნქტებით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულებების ყველაზე დიდი მოცულობის წარმომდგენ კანდიდატს.

ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ იდენტური შეთავაზების წარმოდგენის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება პრეტენდენტს, რომელმაც ყველაზე ადრე წარმოადგინა შეთავაზება.

9. დანართების გადაცემის წესი და კონფიდენციალურობა

პრეტენდენტებისათვის მიწოდებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება წინამდებარე მოწვევას, წარმოადგენს მკაცრად კონფიდენციალურ ინფორმაციას/დოკუმენტს და „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, ასეთი ინფორმაციის/დოკუმენტის მესამე პირებისთვის გადაცემის გამო, ინფორმაციის/დოკუმენტის გადამცემს მოსთხოვოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეული ზიანი.

[***]

მოწვევა

ინტერესთა გამოხატვაზე

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს და ფინანსურ ინსტიტუტს შორის
სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ

სერვის ცენტრების ჩამონათვალი

№	ქალაქი	ს/ინდექსი	მისამართი	საიდენტიფიკაციო კოდი
1	თბილისი	0178	გურამიშვილის ქ. 39ბ	01.12.03.007.010.01.518
2	თბილისი	0180	დადიანის ქ. 315	01.12.11.012.002.01.501
3	თბილისი	0102	ვაგზლის მოედანი N2	01.16.01.005.056.01.506
4	თბილისი	0167	ილია ვეკუას ქ. N 22	01.11.12.013.002.01.507
5	თბილისი	0159	ქალაქი თბილისი, მასივი დილომი, კვარტალი II, კორპუსი 6ბ	01.13.04.012.002.01.504
6	თბილისი	119	წერეთლის გამზ. 95	01.13.06.003.006.01.507
7	თბილისი	0190	კახეთის გზატკეცილი N 34	01.17.10.008.001.01.500
8	თბილისი	0198	დასახლება ლილო (ყოფ. საქსოფმანქანა), კვარტალი II, კორპუსი 9	01.19.27.002.007.01.501
9	თბილისი	0144	ქეთევან წამებულის გამზ. 84/86	01.17.13.035.001.01.509
10	თბილისი	0137	მოსკოვის პროსპექტი 44	01.19.34.003.016.01.500
11	თბილისი	0114	ვ. გორგასლის ქ. 4	01.18.05.001.003.01.508
12	თბილისი	0179	ჭავჭავაძის გამზ. #21	01.14.14.011.027.01.506
13	თბილისი	0186	ვაჟა-ფშაველას გამზ. კვ#2, კორ28 ბ (N:67)	01.14.03.019.001.01.501
14	თბილისი	160	პეკინის გამზ. 39	01.10.13.013.008.01.504

მოწვევა

სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე

15	აბაშა	0200	თავისუფლების ქ. 52	40.01.02.120.01.501
16	ადიგენი	0300	თამარ მეფის ქ. 1	61.05.21.230.01.500
17	ამბროლაური	0400	, ქუჩა მ.კოსტავა, № 28	86.19.26.101.01.502
18	ასპინძა	0500	რუსთაველის ქ. 10	60.01.32.190.01.501
19	ახალქალაქი	0700	რუსთაველის 19/1	63.18.32.080
20	ახალციხე	0800	თამარ მეფის ქ. 9	62.09.58.416.01.502
21	ახმეტა	0900	ჩოლოყაშვილის ქ. N51 (ლესელიძე)	50.04.11.045
22	ბათუმი	6010	ქალაქი ბათუმი, ქუჩა მელაშვილი, № 4/6	05.21.10.007.01.540
23	ბათუმი	6004	ჭავჭავაძის 90	05.23.25.001.01.507
24	ბაღდათი	1000	ვაჟა/ფშაველას ქ. 3	30.11.33.396.01.501
25	ბოლნისი	1100	სულხან/საბა ორბელიანის ქ. 142	80.06.64.295
26	ბორჯომი	1200	რუსთაველის ქ. 103	64.23.02.353
27	გარდაბანი	1300	ადამაშენებლის ქ. 72	81.15.16.055.01.501
28	გორი	1400	კურტანიძის ქ. N 2	66.45.27.173.01.501
29	გურჯაანი	1500	თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ	51.01.61.450
30	დედოფლისწყარო	1600	რუსთაველის ქ. 53	52.08.35.284
31	დმანისი	1700	წმ. ნინოს ქ. 46	82.01.46.651
32	დუშეთი	1800	სტალინის ქ. 21	71.51.02.100.01.505
33	ვანი	1900	26 მაისის ქ. #14	31.01.29.022
34	ზესტაფონი	2000	ადამაშენებლის ქ. 21	32.10.37.176.01.503
35	ზუგდიდი	2100	რუსთაველის ქ. 92	43.31.55.457.01.569
36	თეთრიწყარო	2300	ქუჩა თამარ მეფის, № 20	84.01.35.230
37	თელავი	2200	ერეკლე მეორის გამზ. 12	შეჩერებულია რეგისტრაცია
38	თერჯოლა	2400	ადამაშენებლის ქ. 1	33.09.33.066.01.501

მოწვევა

სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ინტერესთა გამობატვის თაობაზე

39	თიანეთი	2500	დაბა თიანეთი, რუსთაველის და ლაშარის ქუჩების გადაკვეთაზე, რუსთაველის ქუჩა № 4-ის მიმდებარედ	73.05.34.341
40	კასპი	2600	ქალაქი კასპი, ქუჩა გიორგი სააკაძე, № 1	67.01.35.181
41	ლაგოდეხი	2700	26 მაისის ქ. #4	54.01.54.226
42	ლანჩხუთი	2800	ჟორჟოლიანის ქ. 103	27.06.56.002.01.501
43	ლენტეხი	2900	თამარ მეფის ქ. 17	87.04.24.127.01.500
44	მარნეული	3000	რუსთაველის ქ. 45	83.02.06.900.01.500
45	მარტვილი	3100	თავისუფლების ქ. 4	41.09.37.206.01.500
46	მესტია	3200	დაბა მესტია, თამარ მეფის ქ. N8	42.06.05.364
47	მცხეთა	3300	აღმაშენებლის ქ. 44	72.07.05.265.01.500
48	ნინოწმინდა	3400	ქალაქი ნინოწმინდა, ქუჩა კარლ მარქსი, № 22	65.12.32.313
49	ოზურგეთი	3500	გოგებაშვილის ქ. 2	26.26.42.036.01.508
50	ონი	3600	მოედანი აღმაშენებელი, № 6	88.19.05.002
51	რუსთავი	3700	მეგობრობის ქ. 9	02.04.03.154.01.501
52	საგარეჯო	3800	ქუჩა სტალინი, № 102, (ეს ძველი მისამართია)	55.12.52.272
53	სამტრედია	3900	ძმები ნინუების ქ. #11.	34.08.56.280.01.511
54	საჩხერე	4000	დ. აღმაშენებლის ქ.	35.01.45.287.01.500
55	სენაკი	4100	რუსთაველის ქ. 255	44.01.31.615.01.501
56	ტყიბული	4300	გამსახურდიას ქ. 53	39.01.27.062
57	ფოთი	4400	წმ. გიორგის ქ. 16	04.02.08.458.01.502
58	ქარელი	4500	ნინოშვილის ქუჩა 2	32.10.37.176.01.503
59	ქედა	6100	ჭავჭავაძის ქ. 4	21.03.34.292.01.500
60	ქობულეთი	6200	აღმაშენებლის ქ. 135	20.42.04.020
61	ქუთაისი	4600	თამარ მეფის ქ. 56	03.03.26.241.01.500 და 03.03.26.241.01.506
62	ქუთაისი	4602	წმინდა ნინოს 7	03.03.01.084.01.506

მოწვევა

სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ინტერესთა გამობატვის თაობაზე

63	ქუთაისი	4608	გამსახურდიას ქ. 32	03.01.24.136.01.500
64	ყაზბეგი	4700	დაბა სტეფანწმინდა (გორკი N1)	74.01.13.405
65	ყვარელი	4800	ილია ჭავჭავაძის ქ #138	57.06.57.351
66	შუახევი	6300	თამარ მეფის ქ. N 1	24.02.34.000.258
67	ჩოხატაური	4900	დუმბაძის ქ. 7	28.01.22.081.01.501
68	ჩხოროწყუ	5000	გელა შენგელია ქ. 1	46.02.45.120
69	ცაგერი	5100	ქუჩა თამარ მეფის N 30	89.03.23.043
70	წალენჯიხა	5200	ქუჩა გამსახურდია, № 2	47.11.43.314.01.510
71	წალკა	5300	მერაბ კოსტავას ქ. N 38	85.21.23.221
72	სიღნაღი	4200	ადმანუბლის ქ. 17	56.14.41.335.01.500
73	წყალტუბო	5400	გალაქტიონ ტაბიძის ქ. 1ა	29.08.09.006.01.501
74	ჭიათურა	5500	ყაზბეგის ქ. 6	38.10.37.034
75	ხარაგაული	5600	დაბა ხარაგაული, ქუჩა სოლომონ მეფე, № 52	36.01.31.199.01.500
76	ხაშური	5700	რუსთაველის ქ. 1	69.08.58.169.01.500
77	ხელვაჩაური	6400	თამარ მეფის ქ. 4	22.06.01.078
78	ხობი	5800	ცოტნე დადიანის ქ. 181	45.21.25.309.01.501
79	ხონი	5900	ქუჩა მოსე ხონელის № 5	37.07.38.170
80	ხულო	6500	ტბ. აბუსერიძის ქ. 7	23.11.31.152.01.502
81	რუხი	2130	რუხი. რუხი მოლი	43.10.42.210

მ ო წ ვ ე ვ ა

ინტერესთა გამოხატვაზე

შპს „საქართველოს ფოსტა“-ს და ფინანსურ ინსტიტუტს შორის
სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ

შ ე მ ო თ ა ვ ა ზ ე ბ ა

ფინანსური ინსტიტუტის დასახელება

ძირითადი ფინანსური ვალდებულებები

#	დასახელება	მინიმალური მოთხოვნა	შემოთავაზებული ოდენობა
1	პირველადი გადასახადი (3.1 პუნქტი)	200.000 ლარი	
2	საკომისიოს მინიმალური გადასახადი (3.2 პუნქტი)	100.000 ლარი	
3	ინვესტიცია რემონტში (3.3 პუნქტი)	800.000 ლარი	
4	მარკეტინგის ბიუჯეტი (3.4 პუნქტი)	500.000 ლარი	
5	მსუბუქი მანქანების მინიმალური ღირებულება (3.5 პუნქტი)	100.000 ლარი	

საკომისიოს ოდენობები

#	დასახელება	მინიმალური მოთხოვნა	შემოთავაზებული ოდენობა
1	საკრედიტო ბარათი	5.00 ლარი	
2	სწრაფი სესხი	5.00 ლარი	
3	სამომხმარებლო სესხი	10.00 ლარი	
4	მიკრო სესხი	20.00 ლარი	
5	სადეპოზიტო ბარათი	5.00 ლარი	
6	უსაფრთხოების სერვისი	2.00 ლარი	
7	სწრაფი განვადება	3.00 ლარი	
8	ფულადი გზავნილი	1.40 ლარი	

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით, ფინანსური ინსტიტუტი აცხადებს თანხმობას, არაუგვიანეს 2019 წლის 1 აგვისტოსი, გააფორმოს ხელშეკრულება საქართველოს ფოსტასთან, 2019 წლის 3 ივლისს გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის პირობების და შემოთავაზებული ფინანსური ვალდებულებების შესაბამისად.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

თარიღი

მოწვევა

სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის თაობაზე